# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 384

„25" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

**ქ. თბილისში, ლესელიძის ქუჩა №22-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.026) 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „მოდელების სახლი მატერიისთვის" (ს/კ: №204470027) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ლესელიძის ქუჩა №22-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.026) 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „მოდელების სახლი მატერიისთვის" (ს/კ: 204470027) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 2 ნოემბრის №42.15.907 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების შპს „მოდელების სახლი მატერიისთვის" (ს/კ: №204470027) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2018 წლის 2 თებერვლამდე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ალიბეგაშვილი**